

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№-68

ქ. თბილისი; პირველი ოქტომბერი, 2020 წ. 10:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი

ალექსანდრე ხუჯაძე

ნინო რუხაძე

ავთანდილ ცინცაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე – საბა ფიფია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე – თამარ შარაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე – ვასილ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე – ოთარ აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული
სამსახურის უფროსი – მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის
სამსახურის უფროსი – თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით
დაფუძნებული შპს „თბილისერვის ჯგუფი“-ს იურისტი – დავით ჩანქსელიანი და აღნიშნული
კომპანიის სხვა წარმომადგენელი პირები

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

- 1) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 2) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 3) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 4) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 5) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M₃ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M₃ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 6) „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 7) „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- 8) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისერვის ჯგუფის“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- 9) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N1, 4213 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.011.419) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 10) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლებაში, ოქროყანის ტერიტორიაზე მდებარე 664 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.01.004.029) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 11) „ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N49 (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 12) „ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.008.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 13) „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, I კვარტლის კორპუს „დ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.008.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 14) „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.051.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 15) „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N 01.20.01.001.009.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი.
- 16) „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრო/რაიონის, კორპუს N35-ში, (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.01.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 17) ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქუჩა N6ა-ში (საკადასტრო კოდები: N01.15.05.061.014.01.508 და N01.15.05.061.014.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 18) „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.501 და N81.01.05.883.01.504) მდებარე უძრავი ქონების

- პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 19) „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.059.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 20) ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7/1, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 21) „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 22) „ქალაქ თბილისში, ვახისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში, (ნაკვეთი 31/026) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.026.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 23) ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუსი N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 24) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 25) ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.023.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 26) „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.19.24.004.061.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 27) „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4^ბ მიკრო/რაიონის N32^ა-ში (საკადასტრო კოდები: N01.11.13.009.025.01.500; N01.11.13.009.025.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 28) „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012 საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
 - 29) „შპს „სასათბურე მეურნეობის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით

გადაცემის თაობაზე” 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისა და აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული დავალიანების გადახდისათვის დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- 30) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 31) „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.009.030) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუგუსტისთვის“ (ს/ნ 405334160) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 32) „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N62-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: N01.14.11.003.029) 16კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინგჰაუსისთვის“ (ს/ნ: 405379754) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 33) „ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.15.04.020.034) შპს „დელისთვის“ (ს/ნ: 400267117) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 34) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუადის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი აი ია“-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N339 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 35) „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N26-34-ის მიმდებარედ არსებული 2172 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.007.023) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს თაიმისთვის“ (ს/კ: 405185008) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 36) „ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესთვის“ (ს/ნ: 404895716) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

- 37) „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.009) და ქალაქ თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.003) შპს „ჯიემ ჯისტვის“ (ს/კ 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 38) ქ. თბილისში, შარტავას ქ. N43 (ს/კ N01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ 205176628) და სს „ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405375277) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 39) „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 40) „ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14(ს/კ N01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 41) „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 42) ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 43) „ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „დილომი დისტორიქთ აფართმენტის“ (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
- 44) „ქ. თბილისში, ავაკი ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და იბა „ახალი დილომის“ (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოხსენეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ საბა ფიფია იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა თბრობის დასაწყისში აღნიშნა, რომ თბილისის წყალსაცავის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით, სანიტარიული დაცვის ზონის დასადგენად ქალაქ თბილისის მერიის მიერ ჩატარდა თბილისის წყალსაცავის შემოგარენის კვლევა და დადგინდა სანიტარიული დაცვის პირველი და მე-2 ზონა. სანიტარიული დაცვის მეორე ზონა დაიყო სამ წყალდაცვით ზოლად, კვლევის შედეგებისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამასთან, საბა ფიფია აღწერა დადგენილებით განსაზღვრული საკითხები შემდეგი სახით:

- სანიტარიული დაცვის ზონა დაიყო სამ სარტყლად, ხოლო მე-3 სარტყელი - ორ არეალად.
- კვლევით გათვალისწინებული სანიტარიული დაცვის პირველი ზონა შეესაბამება პირველ სარტყელს, მე-2 ზონის პირველი წყალდაცვითი ზოლი - მეორე სარტყელს, მეორე წყალდაცვითი ზოლი - მესამე სარტყლის I არეალს, ხოლო, მესამე წყალდაცვითი ზოლი - მესამე სარტყლის II არეალს.
- თბილისის წყალსაცავის მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით თითოეული სარტყლისათვის დადგინდა მართვის სპეციალური რეჟიმი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სარტყლების საზღვრების იდენტიფიცირების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი იყო წყალსაცავის წყალშემკრები აუზის ტერიტორიაზე მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების რეგულირების საკითხები, კერძოდ: წყალსაცავის წყლის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების გამორიცხვა; სანაპირო ზოლში, წყლის დაბინძურების რისკის მქონე ყოველგვარი საქმიანობის შეზღუდვა, წყალსაცავის მთელი პერიმეტრის სარეკრეაციოდ გამოყენების მიზნით და წყალშემკრები აუზის ფერდობების განაშენიანებისას, ერთი მხრივ, წყალსაცავის ტურისტულ-სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობების გაუმჯობესება და მეორე მხრივ, კონკრეტული შეზღუდვების დაწესება, რომ შეძლებისდაგვარად შემცირდეს განაშენიანების ფართობი და მეტი ყურადღება დაეთმოს გამწვანების სამუშაოებს. ამასთან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ნაწილში სანიტარიული ზონის სარტყლების საზღვრები კვეთს ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში გადაკვეთის წერტილებზე ვრცელდება უფრო მკაცრი რეჟიმის სარტყლის რეგულაციები.

მომხსენებლისვე მითითებით, თბილისის წყალსაცავი კომპლექსური დანიშნულების ზედაპირული წყლის ობიექტია, რომელიც გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების წყაროდ, სარეკრეაციოდ და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სარწყავი წყლით უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე, მაღალია წყალშემკრები აუზის ინტენსიური ურბანული განაშენიანების რისკი. დადგენილებით შემოთავაზებული ზონირება კი, კონკრეტული სარტყლისათვის განსაზღვრული რეგულაციებით, უზრუნველყოფს წყლის დაბინძურებისაგან მაქსიმალურ დაცვას.

საბა ფიფიაშვილს კი დასძინა, რომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომელიც დაამტკიცებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესსა“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრების რუკა“-ს, დადგენილების პროექტის დანართი №1-სა და დანართი №2-ის შესაბამისად.

აზრი გამოთქვას:

ბატონმა ლევანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი პუნქტით დასამტკიცებელი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის“ ტექსტუალური ნაწილიდან ამოღებული იქნას და ცალკე დანართის სახით განისაზღვროს შესაბამისი ცხრილები. ამასთან, პროექტში პუნქტების მითითების ნაცვლად, მიეთითოს – მუხლები და პროექტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ბატონმა ლევანმა ასევე ისაუბრა მოცემული დადგენილების პროექტის თავდაპირველად წარმოდგენილი ვერსიისა და მიმდინარე სხდომაზე განსახილველ პროექტს შორის არსებულ ძირითად განსხვავებაზე, რაც გულისხმობს, პროექტით დასამტკიცებელ, სანიტარიული ზონის მესამე სარტყლის პირველ არეალთან დაკავშირებით ჩანაწერს, მოცემული დადგენილების ამოქმედებამდე აღნიშნულ არეალში დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმას და უფლებამოსილ სამსახურთან შეთანხმებას, ნებართვის მიღების ეტაპზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

2. მოხსენიეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ოთარ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების ტექსტურ ნაწილში (დანართი N2). კერძოდ, დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში ხორციელდება ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი არეალის სამშენებლოდ განვითარების რეგლამენტში ცვლილება – „A“ არეალში სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ტერიტორიაზე არსებული სახასიათო

ლანდშაფტის მაქსიმალურად შენარჩუნების პირობით; ხოლო, გარდა „A1“ (ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის) და „A“ (განაშენიანების რეგულირების გეგმების) არეალებისა, სამშენებლოდ განვითარება დასაშვები ხდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების ან/და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის შესაბამისად. აგრეთვე, დასაშვებია მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.

ოთარ აბულაძემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ამავე ცვლილებების ფარგლებში, დასაშვები ხდება დანართი 1.11-ით განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება. რაც უზრუნველყოფს აღნიშნული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისთვის წინააღმდეგობების მოხსნას და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაკმაყოფილებას.

ოთარმა განმარტა, რომ დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და 73-ე მუხლის მე-9 პუნქტში ცვლილება გამოწვეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ურბანული განვითარების სამსახურის შერწყმის შედეგად, შეცვლილი სახელწოდების დაფიქსირების მიზნით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ **ოთარ აბულაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ოთარმა თხრობის დასაწყისში აღნიშნა, რომ შესაბამისი სამართლებრივი ცვლილების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფლებამონაცვლედ, რამაც, განაპირობა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით

დამტკიცებული წესების მე-8, მე-9, მე-18, მე-19, 22-ე, 23-ე მუხლების ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება.

ბატონმა ოთარმა დაამატა, რომ გარდა ზემომითითებულისა, დადგენილების პროექტით ადგილი აქვს შემდეგ ცვლილებას:

- განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებში, სარეკრეაციო ზონა 2-ისა(რზ-2) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) რეგლამენტების ცვლილებას, სადაც ფუნქციური ზონისთვის დადგენილი მინიმალური ფართობი განისაზღვრა 600 კვ.მ.-ით;

- განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლში დასაშვები ხდება ღობის მოწყობა სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონის მოქმედების არეალში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების წესების 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, კერძოდ, სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვები უნდა იყოს არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 1,8 მეტრს.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, დადგენილების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობასა და სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბებაზე, ამასთან, აღნიშნა, რომ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტში დარჩეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის ცვლილება, ხოლო მე-10 და მე-11 პუნქტების ცვლილება გატანილ იქნას ცალკე „ბ.ე“ ქვეპუნქტში. ამასთან, წარმოდგენილი რედაქციით არსებული „ბ.ე“ ქვეპუნქტის შინაარსი გადაინაცვლებს შემდეგ ქვეპუნქტში და შესაბამისად გადაინომრება ქვეპუნქტები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპროტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მოხსენებელმა ისაუბრა დადგენილების პროექტით დაგეგმილ სიახლეებზე და აღნიშნა, რომ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ავტობუსებით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო), საბაგირო გზით, აგრეთვე სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებით მგზავროთა გადაყვანის გამარტივების მიზნით, უნდა შეიქმნას ერთიანი საინფორმაციო ბაზა ერთიანი ელექტრონული გაბილეთიანების სქემისა და განრიგის ერთობლიობით, აქედან გამომდინარე უნდა დაინერგოს სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემა, რომელსაც მართავს ნებართვის გამცემი. ასევე დასძინა, რომ პროექტი ითვალისწინებს აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის შესაბამის ვალდებულებებს და ინტეგრირებული სისტემის დანერგვისათვის გასატარებელ ღონისძიებებს.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადებულ იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რითაც ცვლილება შედის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის“ (M² და M³ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში, რისი ამოქმედებაც დამატებით საბიუჯეტო სახსრებს არ საჭიროებს და არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M³ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავროთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M³ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტის გამოწვევ შემდეგ მიზეზებზე: „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად, განხორციელდა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს რეორგანიზაცია და მისი ფუნქციები, უფლებამოსილებები გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და 2020 წლის 1 თებერვლიდან აღნიშნული სააგენტო ჩაითვალა სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

ვასილის მითითებით, ვინაიდან ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში მოხსენიებული სოციალური მუშაკები (რომლებზეც ვრცელდება შეღავათიანი მგზავრობის ტარიფი) 2020 წლის 1 თებერვლიდან წარმოადგენენ სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ პირებს, საჭირო გახდა აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში ცვლილების განხორციელება, რათა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება მიეცეთ მითითებულ ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ცვლილებას განიცდის დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი, სადაც სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტომ განიცადა რეორგანიზაცია და მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და 2020 წლის 1 თებერვლიდან აღნიშნული სააგენტო ჩაითვალა სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

ბატონმა ვასილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში მოხსენიებული სოციალური მუშაკები 2020 წლის 1 თებერვლიდან წარმოადგენენ სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში - თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ პირებს, ცვლილება შედის ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, რათა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით (0,2 ლარი) მგზავრობის უფლება მიეცეთ ზემოთითხსენებული სააგენტოს თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, შესაბამისი რედაქციით შემუშავებულ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს მე-5 მუხლის „კ“ პუნქტში ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მითითებას. ამასთან ინფორმაციული თვალსაზრისით აღნიშნა, რომ სააგენტოს თბილისის რაიონულ ცენტრებში დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა წლის განმავლობაში ცვალებადია და მაქსიმალურმა რაოდენობამ შესაძლოა შეადგინოს 77.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას. აღნიშნული ცვლილებების მიზანია

დაზუსტდეს პირის განმარტება, რათა უცხო ქვეყნის ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელსაც არ აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული შესაბამისი ელექტრონული მოწმობა, აღნიშნული წესის მე-3 მუხლის 3² პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის უფლება მიენიჭოთ მატერიალური ფორმით წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, შესაბამისი განკარგულებით, ამასთან, პროექტის ამოქმედების თარიღად მიუთითა – გამოქვეყნებიდან მე-60 დღე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩამატებისა და პროექტის პრეამბულას შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს იურისტმა დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

დავით ჩანქსელიანმა ისაუბრა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წესდების შესაბამისად კომპანიის საქმიანობის მიზნებზე, საგანსა და მიმართულებაზე, რომლებსაც განეკუთვნება:

- გარე განათების ობიექტების მოვლა-პატრონობა და გაფართოების სამუშაოების შესრულება; ქუჩების, მოედნების, პარკების, ხიდების, გზატკეცილების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტლების, შენობა-ნაგებობების გარე განათების (მათ შორის არქიტექტურულ-მხატვრული მინათების ქსელის) უზრუნველსაყოფად საჭირო სანათი მოწყობილობების მიმდინარე შეკეთება; არსებული ქსელების რეკონსტრუქცია, კაპიტალური შეკეთება, ახალი ქსელების მშენებლობა; ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების გატარება გარე განათების ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების და უავარიო მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით; სანათი

მოწყობილობებისა და ქსელების მოწყობა-შეკეთების მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე, სახელშეკრულებო ფასებითა და ტარიფებით.

მომხსენებლის მითითებით, ვინაიდან, კომპანიას გააჩნია საკმაოდ მძლავრი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და დედაქალაქში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ წარმოადგენს ხარისხიანი მომსახურების ერთ-ერთ უდიდეს მიმწოდებელს, შესაბამისი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით დაინტერესებას გამოხატავენ როგორც ფიზიკური პირები, ამასთანავე იურიდიული პირები, რომლებთანაც შპს „თბილსერვის ჯგუფი“ აფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს და განისაზღვრება შესაბამისი მომსახურებისათვის სხვადასხვა საფასური. ხოლო, პროცესების გამარტივების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მომსახურებისათვის წინასწარ იქნას განსაზღვრული მომსახურების საფასური, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების პროცედურებს, კომპანიის მომსახურებას კი გახდის უფრო ხელმისაწვდომს.

მომხსენების დასასრულს, დავით ჩანქსელიანმა განმარტა, რომ პროექტით ნორმატიულად განისაზღვრება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გასაწევი შესაბამისი მომსახურების საფასური, ამასთან, დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N1, 4213 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.05.011.419) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, შპს „იჯი გრუპის“ საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N25-ში მდებარე 2260.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ უძრავი ქონებაში, მდებარე: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N1, 4213 კვ.მ მიწის ნაკვეთში გაცვლის ფორმით შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

თამარმა ყურადღება გაამახვილა მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოებებზე:

▪ შპს „იჯი გრუპი“-ს საკუთრებაში არსებულ ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა N25-ში მდებარე 01.10.07.007.030 საკადასტრო კოდი რეგისტრირებულ 2260.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, თუმცა ვინაიდან მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარეობს საბავშვო ბაღი, მშენებლობის დაწყება გააპროტესტა მოსახლეობამ და ვერ განხორციელდა მშენებლობა.

▪ შპს „იჯი გრუპი“-ს პარტნიორთა კრებამ გამოთქვა თანხმობა, ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N1-ში არსებულ უძრავ ქონებაში გაცვლითი ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით;

▪ შპს „იჯი გრუპი“-ს დირექტორმა, განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და მზადყოფნა გამოთქვა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების, კომპანიის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების აღმატების შემთხვევაში, გადაიხადოს სხვაობის არანაკლები ოდენობა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასური, ხოლო, თუ დაინტერესებული პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება, სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებათ არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხსენებელმა ისაუბრა უფლებამოსილი ორგანოების/პირის მიერ გაცემულ შემდეგ წერილობით პოზიციებზე:

▪ სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილობითი პოზიციით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით, N01.11.05.011.419 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვა (სანაცვლოდ გადაცემა) და მისი შემდგომში სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

▪ საბურთალოს რაიონის გამგეობის პოზიციით, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დილომი, მ/რ IV, კორპუსი 12 მიმდებარედ 2260.00 კვმ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღებასთან დაკავშირებით, გამგეობა არ არის წინააღმდეგ საკითხის განხილვა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

▪ ქალაქ თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ავთანდილ ცინცაძის წერილის შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლო ნებართვის გაცემას და შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების დაწყებას ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ მძაფრი ფორმით აპროტესტებს, ვინაიდან ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარეობს საბავშვო ბაღი. როგორც ამ ოლქის მაჟორიტარი, ავთანდილ ცინცაძე დადებით პოზიციას აფიქსირებს მიწის ნაკვეთების მონაცვლეობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ეს არის საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო გზა.

თამარმა ყურადღება გაამახვილა ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწის ნაკვეთების შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებზე:

- 01.10.07.007.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 29 ივნისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 236 220 (ერთი მილიონ ორას ოცდათექვსმეტი ათას ორას ოცი) ლარს.

აღსანიშნავია, რომ დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ექსპერტების მიერ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენისას გათვალისწინებული იქნა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა (AR1714618).

- 01.11.05.011.419 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4213 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 293 391 (ერთი მილიონ ორას ოთხმოცდაცამეტი ათას სამას ოთხმოცდათერთმეტი) ლარს.

თამარ მელიქიშვილმა მომხსენების დასასრულს განმარტა შემდეგი: ზემოაღნიშნული გარემოებებისა და მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის დანართი N5 და დანართი N6-ის („სამოქმედო გეგმა“ და „რეკომენდაციები მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების კერძო ინტერესების საჯარო ინტერესებთან დაპირისპირებისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის“), გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობას მისაღებად მიაჩნია ზემოხსენებული უძრავი ქონების ახალ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმამდე არსებული ფუნქციური ზონის სტატუსით შეფასება და საპრივატიზებო საფასურად 58 000 (ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარის განსაზღვრა, როგორც წარმოდგენილ საექსპერტო შეფასებებში ეროვნულ ვალუტაში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლებ ოდენობა და დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების, გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრმა ავთანდილ ცინცაძემ მაღლობა გადაუხადა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებს და ყველა შესაბამის სუბიექტს პროექტით წარმოდგენილი საკითხის როგორც სამართლებრივად, ასევე ორგანიზაციულად უზრუნველყოფაში. ასევე დაამატა, რომ პროექტის მიღება ატარებს სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს ხასიათს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლებისათვის.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ნაცვლად, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობაზე, აგრეთვე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების საჭიროებაზე, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატებასა და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის სტილისტურ-ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის აუცილებლობაზე, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, პროექტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების საკითხზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლებაში, ოქროყანის ტერიტორიაზე მდებარე 664 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.01.004.029) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს, საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ქ. თბილისში, ტაბახმელას დასახლებაში, ოქროყანის ტერიტორიაზე მდებარე 664 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით, პრივატიზებაზე, შპს „მთაწმინდა ინვესტ“-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, ოქროყანის ტერიტორიაზე არსებული 287 კვ.მ მიწის ნაკვეთის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საპრივატიზებო საფასურით - 59,000 (ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარი და საპრივატიზებო პირობით: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

თამარ მელიქიშვილმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი დეტალების შესახებ:

- შპს „მთაწმინდა ინვესტ“-ის დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, კომპანიის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ტაბახმელაში, ოქროყანის ტერიტორიაზე არსებული 287 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით.
- აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ განხორციელდა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, კომპანიამ გამოხატა მზაობა საავტომობილო გზის გაფართოების მიზნით დათმოს N01.15.01.004.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ტაბახმელას დასახლებაში, ოქროყანის ტერიტორიაზე მდებარე 664 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.01.004.029) გადაცემის სანაცვლოდ.
- თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება აღემატება, გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, შპს „მთაწმინდა ინვესტ“-მა თანხმობა გამოთქვა გადაიხადოს სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური, ხოლო თუ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით კომპანიას პრეტენზია არ ექნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხსენებელმა ისაუბრა, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, უფლებამოსილი ორგანოების/პირების პოზიციაზე:

- სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ქალაქგეგმარებითი დასკვნის შესაბამისად, შესაძლებლად მიიჩნევს მითითებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.01.004.029) განკარგვას (გაცვლას), დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე.
- მთაწმინდის რაიონის გამგეობა წინააღმდეგი არ არის უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე.

თამარმა კომისიის წევრებს გააცნო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, მიწის ნაკვეთების შეფასებით მიღებული მონაცემები:

- N01.15.01.004.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2020 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 44,198 (ორმოცდაოთხი ათას ას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით.
- N01.15.01.004.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 102,256 (ასორი ათას ორასორმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

მომხსენების დასასრულს თამარ მელიქიშვილმა დასძინა, რომ ქ.თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარმოდგენა საპრივატიზებო, საფასურად კი, განისაზღვრა წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნებში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მითითება, ხოლო პროექტის მე-2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N49 (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოებებზე:

ა) მოქალაქე მაყვალა მერმანიშვილმა განცხადებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობას, ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, თავის მხრივ, სამგორის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობა გასწია, ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა № 49-ში მე-5 სართულზე მდებარე 74.22 კვ.მ. ფართობის № 17 ბინის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე მაყვალა მერმანიშვილისთვის, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, პრივატიზების საკითხთან დაკავშირებით.

ბ) უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილება, შესამისი წერილობითი დოკუმენტითა და შედგენილი ოქმებით, სადაც მითითებულია, რომ მაყვალა მერმანიშვილი 10 წელზე მეტია ცხოვრობს მისამართზე - ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი № 24 „ა“ (ახლანდელი ემირ ბურჯანაძის ქუჩა № 49), ბინა № 17; ასევე, გამგეობის ქვემო სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტი, სადაც მოქალაქე მაყვალა მერმანიშვილი აღნიშნავს, რომ მისი ოჯახი 2005 წლიდან ცხოვრობს შესაბამის მისამართზე და სანოტარო წესით დამოწმებული, ორი მოქალაქის განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მაყვალა მერმანიშვილი 2005 წლიდან ფლობს და სარგებლობს ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი, კორ. № 24ა (ახლანდელი ემირ ბურჯანაძის ქუჩა № 49), სართული 5, ბ. № 17, 74.22 კვ.მ. ფართით.

მოხსენების დასასრულისაკენ, თამარმა დასძინა, რომ, ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, ქ. თბილისში, ემირ ბურჯანაძის ქუჩა № 49-ში, მე-5 სართულზე, ბინა № 17-ის 74.22 კვ.მ. ფართი პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე მაყვალა მერმანიშვილისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატება, პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორება, უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება და თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით აღნიშვნა, ხოლო მე-2 მუხლის სტილისტური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა „ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: A01.13.01.008.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა N7-ში მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად შემდეგი პირებისათვის პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას: დემურ სახოკია – 18.23 კვ.მ., ავთანდილ ტაბატაძე – 17.25 კვ.მ, ივანე ბერიშვილი – 38.10 კვ.მ, ბადრი სამხარაძე – 20.47 კვ.მ; ია ზექალაშვილი – 31.88 კვ.მ და 23.02 კვ.მ;

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

ა) დიდუბის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

ბ) დაინტერესებულ მოქალაქეთა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება: როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილებით: მოქალაქეები: დემურ სახოკია, ავთანდილ ტაბატაძე, ივანე ბერიშვილი, ბადრი სამხარაძე და ია ზექალაშვილი 2007 – 2008 წლებიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „სამურზაყანო“-ს ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით, რის მიხედვითაც, მოქალაქეები: დემურ სახოკია, ავთანდილ ტაბატაძე, ივანე ბერიშვილი, ბადრი სამხარაძე და ია ზექალაშვილი ნამდვილად ცხოვრობენ 1999-2008 წლებიდან ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა N7-ში და ფლობენ უძრავ ქონებას.

გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დაძინა რომ შესაბამისი რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, არადევნილი სტატუსის მქონე მოქალაქეებისთვის: დემურ სახოკია, ავთანდილ ტაბატაძე, ივანე ბერიშვილი, ბადრი სამხარაძე და ია ზექალაშვილი, რომლებიც მრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, დისევის ქუჩა N7-ში მდებარე უძრავ ქონებით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში, ხოლო, თავის მხრივ, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების, პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, I კვარტლის კორპუს „დ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.008.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის მიერ შუამდგომლობა გაეწია მოქალაქე ელისო ჯოლოხავას, 1995 წლიდან, ოჯახთან ერთად დაკავებული უძრავი ქონების, ქ. თბილისი, სამგორი რაიონში, III მასივში, I კვარტლის კორპუს „დ“-ში, პირველ სართულზე მდებარე ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზებასთან დაკავშირებით.

თამარმა აღნიშნა, რომ მოქალაქის თბილისი, ვარკეთილი, III მასივი I კვარტალი „დ“ კორპუსი, სართული 1, ბინა 47-ში ცხოვრების ფაქტის ხანგრძლივობას ადასტურდებს როგორც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება, გაცემული დოკუმენტით – დაახლოებით 15 წელია, ასევე, ორი მოქალაქე სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით – 1995 წლიდან და სამგორის რაიონის გამგეობის III მასივის საუბნო განყოფილება შემოწმების აქტით, რომელშიც ელისო ჯოლოხავა აღნიშნავს, რომ იგი, 1995 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემომითითებულ მისამართზე.

თამარმა დასასრულს დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, I კვარტლის კორპუს „დ“-ში, პირველ სართულზე მდებარე 41.15 კვ. მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე ელისო ჯოლოხავასთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების, პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზების გასწორება, მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით აღნიშვნა და საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.051.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე გაბრიელ გაზდელიანმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N30-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 78.70 კვ/მ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მერს.

თამარმა განმარტა, რომ გაბრიელ გაზდელიანის ზემოაღნიშნულ მისამართზე 1991 წლიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს: მოქალაქეების: შოთა ჩიხლაძის, ომარ მახათაძის და გიორგი წიკლაურის, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, მთაწმინდის რაიონის საუბნო განყოფილების წერილი და გამოკითხვის ოქმები, ამასთან სააგენტოში წარდგენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილი და გამოკითხვის ოქმი, როს მიხედვითაც გაბრიელ გაზდელიანი ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს მომხსენებელმა დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილით, გაბრიელ გაზდელიანზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის, ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, პროექტის სათაურში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, პირველ პუნქტში მითითდეს ქონების საპრივატიზებო საფასური და პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N 01.20.01.001.009.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი.

მოხსენებლის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ეკა თათულაშვილმა, მისი ოჯახის მიერ 24 (ოცდაოთხი) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N 49-ში, მეორე სართულზე, ბინა N 12-ში არსებული 60.01 კვ.მ პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით. ხოლო, ვაკის რაიონის გამგეობის მიერ მოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოქალაქე ეკა თათულაშვილი მეუღლესთან, ლაშა ჩივაძესთან, შვილებთან, ოთარ ჩივაძესთან და საბა ჩივაძესთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

თამარმა აღნიშნა, რომ უძრავ ქონებაში ცხოვრების ხანგრძლივობის ფაქტს ადასტურებს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მართლწესრიგის ოფიცერის მიერ შედგენილი გასაუბრების ოქმი, აგრეთვე, მოქალაქეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება ეკა თათულაშვილის აღნიშნულ მისამართზე 1996 წლიდან ცხოვრების ფაქტი. ამასთან, დაამატა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ეკა თათულაშვილის და მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ ვაკის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობის წერილით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49 ხანგრძლივი წლის მანძილზე მცხოვრები პირისათვის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, მოქალაქე ეკა თათულაშვილის საკუთრებაში სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატება, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო პროექტის პირველი და მე-2 პუნქტების ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრო/რაიონის, კორპუსი N35-ში, (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017.01.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარ მელიქიშვილმა ყურადღება გაამახვილა პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოებებზე:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა მოქალაქემ გიორგი ბედოიძემ – საბინაო სამშენებლო კოოპერატივი №620 წევრმა და მიუთითა, რომ ოჯახთან ერთად ცხოვრობს ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე რიცხულ ქონებაში, მდებარე: ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრო/რაიონის, კორპუსი N35, ბინა №57 და იმის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ არ დასრულება აღნიშნული ბინა და არ გადასცემია კოოპერატივის წევრებს, საცხოვრებელი სახლის უქონლობის გამო, თავისი სახსრებით დაასრულა ბინის მშენებლობა და დღეის მდგომარეობით ითხოვს, საცხოვრებელი ფართი გადაეცეს სახელმწიფო შიდა ვალის სანაცვლოდ, საკუთრებაში.
- საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი №620-ის წევრთა საერთო კრების ამონაწერით დასტურდება გიორგი ბედოიძის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში გაწევრიანება.
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ნუცუბიძის პლატო 620“ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემულ იქნა შესაბამისი ცნობა და აგრეთვე, ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა დიანტერესებული პირის მიერ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი №620-ის გადახდის ქვითრები.
- დიანტერესებული პირის მიერ უძრავ ქონების ცხოვრების ფაქტს ადასტურებს მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, რის მიხედვითაც გიორგი ბედოიძე ნამდვილად ცხოვრობს ქ. თბილისში ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრო/რაიონის, კორპუსი N35, ბინა 57-ში, 2005 წლიდან დღემდე. აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს წერილი, რის მიხედვითაც, გიორგი ბედოიძე ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე 2013 წლიდან.

▪ გიორგი ბედოიძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, დევნილად რეგისტრირებული არ არის.

▪ ვაკის რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გიორგი ბედოიძეს საკუთრებაში გადაეცეს მის მიერ დაკავებული ფართი.

▪ ვაკის რაიონის გამგეობის, თვითნებურად დაკავებული საცხოვრებელი ფართების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე შუამდგომლობის საკითხის შემსწავლელი საკონსულტაციო საბჭო წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ გიორგი ბედოიძეს შუამდგომლობა გაეწიოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან დაკავებული ფართის დაკანონებასთან დაკავშირებით.

▪ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, გიორგი ბედოიძეს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ გიორგი ბედოიძე, ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით, ქ. თბილისში. ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრო/რაიონის, კორპუსი N35-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №57 ბინის მის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ უარს აცხადებს მის მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

დასასრულს თამარ მელიქიშვილმა დასძინა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის სწორი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებ და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო, ტექნიკური თვალსაზრისით პროექტის მე-2 მუხლი გაიმართულობა.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქუჩა N6ა-ში (საკადასტრო კოდები: N01.15.05.061.014.01.508 და N01.15.05.061.014.01.507) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას, განცხადებით მიმართა მოქალაქე შორენა ჟღენტმა და ითხოვა მის მიერ დაკავებული ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქუჩა N6ა-ში მე-3 სართულზე, მდებარე 19.24 კვ.მ და 18.42 კვ.მ. ფართის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევა. ამასთან, თამარმა აღნიშნა შემდეგი:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ამონაწერით, შორენა ჟღენტის ოჯახის მოქმედი სარეიტინგო ქულა შეადგენს 69 780 ქულას.

ბ) უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება: მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით, სადაც მითითებულია, რომ შორენა ჟღენტი 2003 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს მათ მეზობლად ქალაქ თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქუჩა N6ა-ში, აგრეთვე, შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულ წერილზე თანდართული ოქმით დასტურდება, რომ შორენა ჟღენტი დაახლოებით 2003 წლიდან დღემდე მუდმივად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

გ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, შორენა ჟღენტის და მისი ოჯახის წევრის სახელებზე უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, დაინტერესებული პირის მიერ წლების მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის საკითხთა დაკავშირებით შესაბამისი მთავრობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის რედაქტირების, პროექტის პირველ პუნქტში საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.501 და N81.01.05.883.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მთაწმინის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე სვეტლანა კენკეზაშვილმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 91.12 კვ.მ და 85.05 კვ.მ საცხოვრებელი ფართის პრივატიზება, თავის მხრივ, გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილით, სვეტლანა კენკეზაშვილის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის, ხოლო აღნიშნული პირის მიერ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ასევე, მოქალაქეები: ელზა ჯვარიძე და ნიკოლოზ ზურაბიშვილი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, სადაც მითითებულია, რომ სვეტლანა კენკეზაშვილი 2000 წლის ივლისიდან ნამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და მთაწმინდის რაიონის საუბნო განყოფილების წერილითა და გამოკითხვის ოქმებით, სადაც მოქალაქეები ადასტურებენ 2000 წლიდან აღნიშნული მისამართზე სვეტლანა კენკეზაშვილის ცხოვრების ფაქტს.

მომხსენებლის მითითებით, ქ. თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა ლევანმა ისაუბრა, პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გამოსწორების, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.059.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნანა კახაბრიშვილმა და ითხოვა ფაქტობრივად დაკავებული ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-N12-ში მდებარე უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, თავის მხრივ, გამგეობამ, შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს, შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

თამარმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის სააგენტოს მონაცემებით ნანა კახაბრიშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის, ხოლო აღნიშნული პირის მიერ უძრავ ქონებაში წლების მანძილზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილება შესაბამისი დოკუმენტით, ასევე, მოქალაქეები: ნანული ჯამალაშვილი, ნინელი მეზალიშვილი, ლამარა სარქისიანი სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, სადაც მითითებულია, რომ ნანა კახაბრიშვილი ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-N12-ში, მდებარე ფართში ცხოვრობს 1997 წლის აგვისტოდან;

დასასრულს თამარმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის აღნიშვნასა და თბილისის მთავრობის განკარგულების სწორი ფორმით მითითებაზე, ხოლო, მე-2 მუხლის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7/1, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.072) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა იოსებ ოთინაშვილმა და ლელა წულაიამ და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7/1, კორპუსი N1-ში, 114.73 კვ.მ და 38.10 კვ.მ ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

თამარმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირთა მიერ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი - სამგორის სამმართველოს პოლიციის XI განყოფილება შესაბამისი დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქეები: იოსებ ოთინაშვილი და ლელა წულაია დაახლოებით 15 წელია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. ამასთან, იოსებ ოთინაშვილისა და ლელა წულაიას 2005 წლიდან დღემდე ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7/1, კორპუსი N1-ში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ჯავშან“-ი ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით და ასევე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით.

თამარმა აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ბინები ეკუთვნოდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჯარების შტაბს, რომლის გაუქმების შემდეგ ბინებში შესახლდნენ იმ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახები, რომელთაც არ გააჩნდათ საცხოვრებელი ფართები და დღეს ეს ქონება არის მათ ფაქტობრივ მფლობელობაში და მიუთითა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური საბინაო კომისიის გადაწყვეტილებით საბინაო ფონდიდან სამხედრო მოსამსახურეზე განაწილებული ფართის მიღება-ჩაბარების აქტი №231-ის მიხედვით, ლელა წულაიას გადაეცა საცხოვრებელი ბინა ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7/1, კორპუსი N1-ში, ბინა №25, საერთო ფართი 37.19 კვ.მ.

მომხსენების დასასრულს, თამარ მელიქიშვილმა დასძინა, რომ ისნის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მიუთითა ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N7/1, კორპუსი N1-ში ცხოვრობენ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, ყველა ბინა პრივატიზებულია და დარჩენილი მხოლოდ ორი ბინა, იოსებ ოთინაშვილის და ლელა წულაიას, რომლებიც მრავალი წელია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე და გამგეობა თანახმაა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქონება, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეთ საკუთრებაში, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის რედაქტირების, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების და უძრავი ქონების გასწორების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, მითითებული შემდეგი პირებისათვის, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას: მაიკო წივილაშვილი – 63.09 კვ.მ, კობა ტაბატაძე – 64.64 კვ.მ., სვეტლანა წულაია – 33.98 კვ.მ. რევაზ ჯგერენაია – 67.72 კვ.მ. , გიორგი მუკბანიანი – 64.44 კვ.მ. მაკა გაზდელიანი – 66.54 კვ.მ. და გულქანი ლიპარტელიანი – 35.84 კვ.მ.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობას წარედგინა ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები, რითაც ითხოვენ 2007–2009 წლებიდან ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამგომლობის გაწევა, ამასთან, მომხსენებელმა, კომისიის წევრებს მიაწოდა საკითხთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:

- სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო სახსრებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით წერილში მითითებული შესაბამისი პირების რეგისტრირებულნი არ არიან. ამასთან, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.
- დაინტერესებულ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში 2007–2009 წლებიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „მერცხალი“ 2020 წლის 20 ივლისს სხდომის ოქმით, გლდანის რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ, გამოკვლეული ინფორმაცია, როგორც ცხოვრების ფაქტთან, ასევე, ოჯახის წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნამალადევის სამმართველოს პოლიციის მე-10 განყოფილების მიერ შედგენილი გასაუბრების ოქმები.

- მითითებულ წყაროებში, უძრავი ქონების გადაცემით დაიტერესებულ პირთა მიერ, თვითნებურად დაკავებულ ფართებში ცხოვრების დაწყების წლების ოდენობა ემთხვევა, აღნიშნულ პირთა მიერ გლდანის რაიონის გამგეობაში წარდგენილ განცხადებებში მითითებულ წლებს;
- უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული ზემოაღნიშნული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელზე, 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ პერიოდზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

თამარმა დასასრულს აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობამ, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილით, თანხმობა გამოთქვა ზემომითითებულ მოქალაქეებს შესაბამისი ფართები საკუთრებაში გადაცემით და განხორციელებულ იქნას თანმდევი პროცედურები, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში მდებარე უძრავი ქონების, მთავრობის განკარგულების დანართ N1-ში მითითებული პირებისათვის, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები: „საკითხის შეთანხმების“, პროექტის პირველი პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, აგრეთვე, აღნიშნული პუნქტი, პროექტის მე-2 პუნქტთან ერთად გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში, (ნაკვეთი 31/026) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.026.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლილი ბექაურმა და ითხოვა, ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში მდებარე, არსებული 74.37 კვ.მ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად გამგეობამ,

რეკომენდაციებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

თამარ მელიქიშვილის განმარტებით, უძრავ ქონებაში წლების მანძილზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი - სამგორი სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების მიერ გაცემული დაოკუმენტი, ამასთან, მოქალაქეები: დავით ბუჯიაშვილი, ნელი გაგნიძე, ეთერი კვიციანი სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, სადაც მითითებულია, რომ ლილი ბექაური ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში, მდებარე ფართში 2006 წლიდან.

მოხსენების დასასრულს თამარმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა დაინტერესებული პირისთვის და საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ლევან ჟორჯოლიამ ისაუბრა, პროექტის სათაურის რედაქტირების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის აღნიშვნასა და მე-2 მუხლის შესაბამისი რედაქციით შესწორების მართებულობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუსი N27-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუსი N27-ში, მდებარე უძრავი ქონების შემდეგი პირებისათვის სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

1. ელზა აშკარელი

ლევან მოისწრაფიშვილი; 187.16კვ.მ;

2. ნანა ნარსია; 115.25კვ.მ;

3. ლევან ჭავჭავაძე; 93.53კვ.მ;

4. მზია ვეფხვაძე-ტყემალაძე;	96.07კვ.მ;
5. ნატო აბრამიშვილი;	85.17კვ.მ;
6. ნანა ბეკურიშვილი;	93.77კვ.მ;
7. სპარტაკ დვალიშვილი;	111.39კვ.მ;
8. ანა მერუჩიკო;	97.22კვ.მ;
9. ნანა აბესაძე;	99.15კვ.მ;
10. ზურაბ გოგოლიძე;	104.66კვ.მ;

თამარ მელიქიშვილმა ასევე ისაუბრა შემდეგი გარემოებების შესახებ:

- ზემომითითებულმა პირებმა განცხადებით მიმართეს ქალაქ თბილისის მერს და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა.
- საბურთალოს რაიონის გამგეობის დიღომი-ვაშლიჯვრის საუბნო განყოფილებამ მოიკვლია და დაადგინა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულმა ზემოაღნიშნული პირები, დიდი დიღმის მე-3 მ/რ-ის N27 საცხოვრებელ კორპუსში, ფლობენ და სარგებლობენ საცხოვრებელი ფართებით 1999-2010 წლებიდან.
- სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს, საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ წერილობით ეცნობა, რომ გამგეობა, მოკვლეული ინფორმაციის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს, განკარგულების პროექტის დანართ N1-ში მითითებული პირებისათვის, ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-3 მ/რ-ის, #27-ე კორპუსში არსებული ფართების, სიმბოლურ ფასად, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი პროცედურების გატარებას.

მომხსენებელმა უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან და პირთა ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ მოქალაქეები 1999-2010 წლებიდან, ოჯახებთან ერთად, ნამდვილად ცხოვრობენ მისამართზე: ქალაქ თბილისი, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუსი N27-ში, რასაც ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტები, აგრეთვე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები. ხოლო, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების და მათი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე ქალაქ თბილისში, რეგისტრირებული არ არის.

დასასრულს კი თამარმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-2 პუნქტების შინაარსობრივი/სტილისტური თვალსაზრისით რედაქტირება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარ მელიქიშვილმა მიუთითა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ზურაბ გურასპაშვილმა და ითხოვა, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში სართული 1, ბინა N2-ში მდებარე 46.14 კვ.მ., მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით, მოქალაქე ზურაბ გურასპაშვილსა და მის ოჯახის წევრებზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. ხოლო, მოქალაქის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე ზურაბ გურასპაშვილი 15 წელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ხოლო, მოქალაქეები: რუსუდან ჯმუხაძე, ნელი ხაჯალია, ელისო გაზდელიანი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით ადასტურებენ, რომ ზურაბ გურასპაშვილი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2007 წლიდან დღემდე.

თამარ მელიქიშვილმა ასევე დასძინა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, არადევნილი სტატუსის მქონე მოქალაქისათვის – ზურაბ გურასპაშვილი, მრავალი წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელი ოქროყანა, მეფუტკრეობის ქუჩა N8, სართული 1, ბინა N2-ში მდებარე 46.14 კვ.მ სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, თავის მხრივ, ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და პირველ პუნქტსა და მე-2 მუხლში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების პროექტის.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.023.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ციალა ტორჩინავამ და ითხოვა მის მიერ წლების მანძილზე დაკავებული ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N19-ში პირველ სართულზე, ბინა N2-ში მდებარე 58.10 კვ.მ ფართის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

თამარმა აღნიშნა, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით ციალა ტორჩინავას და მისი ოჯახის წევრების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, მოქალაქის მიერ, დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში 1993 წლიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს როგორც, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმი, ასევე მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერები და შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს წერილით დასტურდება, რომ ციალა ტორჩინავა დაახლოებით 28 წელია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შუამდგომლობის გაწევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული შესაბამისი უძრავი ქონების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემისათვის, შემდგომში, წლების მანძილზე მცხოვრები დაინტერესებული პირისათვის სიმბოლურ ფასად გადაცემის მიზნით, ხოლო, შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფის შემდეგ, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ციალა ტორჩინავასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტის სათაურის რედაქტირების, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობის შესახებ.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.19.24.004.061.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ირმა კიპაროიძემ მისი ოჯახის მიერ 20 (ოცი) წლის მანძილზე დაკავებული, ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N19-ის მიმდებარედ, პირველ სართულზე მდებარე 30.77კვ.მ ფართის საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით და ითხოვა უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა.

თამარის განმარტებით, ირმა კიპაროიძე და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში, ირმა კიპაროიძეს სახელზე საკუთრებაში უძრავი ქონება არ ფიქსირდება, ხოლო, მოქალაქის მიერ, უძრავ ქონებაში ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ სამგორის რაიონის გამგეობაში გაგზავნილი დოკუმენტი. ასევე, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების აქტი და ქ. თბილისში ქიზიყის ქუჩა N 19-ის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების სანოტარი წესით დამოწმებული განცხადებები, სადაც მითითებულია, რომ მოქალაქე ირმა კიპაროიძე ზემოაღნიშნულ მისამართზე 2000 წლიდან დღემდე ცხოვრობს.

თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამგორის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობის მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წლების მანძილზე დაკავებული ფართის, მდებარე: ქ. თბილისი, ქიზიყის ქუჩა N19-ის მიმდებარედ, პირველ სართულზე მდებარე 30.77კვ.მ, მოქალაქე ირმა კიპაროიძისათვის სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით. ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების, პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებისა და მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4^ბ მიკრო/რაიონის N32^ა-ში (საკადასტრო კოდები: N01.11.13.009.025.01.500; N01.11.13.009.025.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა: ლელა ლომსაძემ და დავით შანშიაშვილმა და ითხოვეს ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების 4^ბმიკრო/რაიონის N32^ა-ში მდებარე, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 21.48 კვ.მ და 61.92 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა. აღნიშნული პირებისათვის უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევის თხოვნით გამგეობას მიმართა ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრმა ქეთევან ჯოხაძემ. თავის მხრივ, გლდანის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს.

თამარის განმარტებით, ლელა ლომსაძეზე, დავით შანშიაშვილზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის. ხოლო, მოქალაქეთა მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის III განყოფილება, შესაბამისი დოკუმენტით, სადაც მითითებულია, რომ ლელა ლომსაძე და დავით შანშიაშვილი 11 წელია, ოჯახებთან ერთად ნამდვილად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთანავე, მოქალაქეები: ზალინა ბეკოევა, დალი ზაზაშვილი და ვერა ღრეულის სანოტარო წესით დამოწმებული აქტით, სადაც მითითებულია, რომ დავით შანშიაშვილი და ლელა ლომსაძე 2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხსენების დასასრულს თამარმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად – (ერთი) ლარად პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 მუხლის რედაქტირებასა და შესაბამისი სახით ჩამოყალიბებაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში (ნაკვეთი N04/012 საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ჯამურად 3129.66 კვ.მ.) უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, გუდამაყრის შესახვევი N2, ნაკვეთი N04/012, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ, მთავრობის განკარგულების დანართში მითითებული 83 (ოთხმოცდასამი) პირისათვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

თამარმა ისაუბრა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობას 2018–2020 წლებში წარედგინა მოქალაქეთა განცხადებები, რომელთაც ითხოვეს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, წლების მანძილზე თვითნებურად დაკავებული იზოლირებული ფართების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გუდამაყრის შესახვევი N2, პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლური ფასის სანაცვლოდ პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

- მოქალაქეთა მიერ უძრავ ქონებაში 2012–2013–2014 წლებიდან ცხოვრების ფაქტს ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი–ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილება შესაბამისი დოკუმენტების თანახმად, ამასთან, მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტით.

თამარ მელიქიშვილმა აგრეთვე დაამატა, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობამ, 2019–2020 წლებში შუამდგომლობის წერილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და შუამდგომლობა გაუწია უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ

შესაბამის პირებს, მათ თხოვნასთან დაკავშირებით, ხოლო ქალაქ თბილისის მთავრობამ, იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N2-ში მდებარე უძრავი ქონების, შესაბამის დანართში მითითებული 83 (ოთხმოცდასამი) პირისათვის, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის სათაურში სიტყვების: საკითხის შეთანხმების დამატების, პირველი პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების და აღნიშნული პუნქტის, მე-2 პუნქტთან ერთად სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე. ლევანმა ასევე მიუთითა, თბილისის მთავრობის განკარგულების დანართის N1-ში რიგით მე-15 პირის ნაწილში არსებულ ტექნიკურ ხარვეზზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „შპს „სასათბურე მეურნეობის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისა და აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში არსებული დავალიანების გადახდისათვის დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხის შესახებ და კომისიის წევრებს გააცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „ბი ენდ ბი პროვიჟენსს“ შორის გაფორმდა 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „ბი ენდ ბი პროვიჟენსს“ მართვის უფლებით გადაეცა შპს „სასათბურე მეურნეობის“ 100%-იანი წილი, რომლის კაპიტალშიც ირიცხებოდა N01.19.17.003.025 და N01.19.17.003.024 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება.
- ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი დადგენილებით, შპს „ბი ენდ ბი პროვიჟენსის“ ნაცვლად, ხელშეკრულებაში „მმართველ კომპანიას“ უცვლელი პირობებითა და ვალდებულებებით ჩაენაცვლა შპს „ვანის სათბურები“.
- „შპს „სასათბურე მეურნეობის“ ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“ 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის 2.3.1 ქვეპუნქტის თანახმად, მმართველი კომპანია ვალდებულია, 2014 წლიდან ყოველ 10

მარტსა და 10 სექტემბერს გადაიხადოს 25,000 ლარის ოდენობით „წილის“ მართვის საფასური. აღნიშნული ვალდებულება მმართველ კომპანიას 2016 წლის 10 სექტემბრის შემდეგ არ შეუსრულებია, რის შედეგადაც, ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.1 პუნქტის 6.1.3 ქვეპუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყოველდღიურად ერიცხება პირგასამტეხლო.

- ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მმართველ კომპანიას 2010/2011 წლებში ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.4 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის გამო, დაეკისრა 228,000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლო, ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის N09.28.358 დადგენილების საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული თანხის ეტაპობრივად გადახდასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომპანიას დაევალა, 2011 წლიდან 2013 წლამდე ორჯერადად, ხოლო 2014 წლიდან - 2044 წლამდე ყოველწლიურად ერთჯერადად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩაერიცხა 6,705.88 ლარის ოდენობით განაწილვადებული პირგასამტეხლოს თანხა. 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით აღნიშნული პირგასამტეხლოს დავალიანება შეადგენს 33529.45 ლარს.
- ქალაქ თბილისის მთავრობის 2016 წლის 2 ნოემბრის N42.21.912 განკარგულების თანახმად, საზოგადოების კაპიტალიდან ამოღებულ იქნა N01.19.17.003.057 (წინა კოდი: N01.19.17.003.024) და N01.19.17.003.058 (წინა კოდი: N01.19.17.003.025) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.
- 2019 წლის 4 ნოემბერს მმართველმა კომპანიამ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა განცხადებით და ითხოვა 103,540 ლარის ოდენობით დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიება და 160,000 ლარის ოდენობით გადაუხდელი წილის მართვის საფასურის განწილვადება, ამასთან, წარადგინა, შპს „პრაიმ აუდიტის“ მიერ შედგენილი და დამოწმებული აუდიტორული დასკვნა, რომელიც ნათლად ასახავს შპს „ვანის სათბურების“ რთულ ფინანსურ მდგომარეობას, რაც გახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების დარღვევის მიზეზი.

მარიამმა დაამატა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დედაქალაქის მთავრობამ, შესაბამისი განკარგულების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის თანხმობის მისაღებად წარედგინა საკითხი, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შპს „ვანის სათბურებისთვის“, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წილის მართვის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოს 90%-ისგან გათავისუფლების თაობაზე, იმ პირობით, რომ დარიცხული პირგასამტეხლოს 10%-ს მმართველი კომპანია დაფარავდა 2020 წლის 10 მარტამდე. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ თანხმობა განაცხადა იმის თაობაზე, რომ მმართველ კომპანიას დარიცხული დავალიანება 160,000 ლარის ოდენობით დაეფარა 2021 წლის 10 სექტემბრამდე, თბილისის მთავრობის განკარგულებაზე თანდართული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და დასძინა, რომ მმართველმა კომპანიამ განცხადებით მიმართა სააგენტოს და მზადყოფნა გამოთქვა შეისყიდოს შპს „სასათბურე მეურნეობის“ 100%-იანი წილი, იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს მართვის საზღაურის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსგან მმართველი კომპანიის სრულად გათავისუფლებას. ამასთან, კომპანიამ

მზადყოფნა გამოთქვა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი აქტის გაცნობიდან 3 თვის ვადაში გადაიხადოს 2020 წლის სექტემბრისათვის, ხელშეკრულებით დადგენილი წილის მართვის საფასურის 2016 წლიდან გადაუხდელო დავალიანება - 210,000 ლარის ოდენობით. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელი მზადყოფნას გამოთქვამს აუქციონის წესით საზოგადოების განკარგვისას საპრივატიზებო საფასურში გათვალისწინებულ იქნეს მართვის დავალიანება (210,000 ლარი) და ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის N09.28.358 დადგენილების საფუძველზე დასაფარი პირგასამტეხლო. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების აუქციონის წესით განკარგვა განხორციელდება აღნიშნული 3 თვიანი ვადის დასრულებამდე.

მოხსენების დასასრულს მარიამმა შეჯამების სახით დასძინა, რომ პროექტით, ქალაქ თბილისის მთავრობას ცვლილება შეაქვს 2019 წლის 20 ნოემბრის N19.1217.1543 განკარგულების შესაბამის დებულებებში და თბილისის საკრებულოს თანხმობის მისაღებად წარმოუდგენს საკითხს, კომპანიის მიმართვის შესაბამისად, შეცვლილი პირობებით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მისაღებად წარედგინება საკითხი შპს „ვანის სათბურებისთვის“, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წილის მართვის საფასურის გადაუხდელობის გამო დარიცხული პირგასამტეხლოსაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე. ამასთან, ქალაქ თბილისის საკრებულოს თანხმობის მისაღებად წარმოედგინა საკითხი მმართველ კომპანიისთვის 210,000 ლარის ოდენობით მართვის საფასურის დავალიანებისა და ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 19 აპრილის N09.28.358 დადგენილების თანახმად გაწილვადებული პირგასამტეხლოს დავალიანების - 33,529.45 ლარის გადახდისათვის, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღნიშნულზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან, დამატებითი 3 თვიანი ვადის მიცემისა და შესაბამისი პირგასამტეხლოსაგან ამავე კომპანიის გათავისუფლების თაობაზე.

აზრი გამოთქვს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში, ნაცვლად 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებისა, მიეთითოს 2010 წლის 1 აპრილის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, რამდენადაც პირგასამტეხლოს ოდენობა იზრდება ყოველდღიურად, გადასახდელი თანხის 0.1%-ით (210 ლარი) და მისი დარიცხვა გაგრძელდება ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ

წარმოდგენილი, "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, პროექტის მიხედვით იგეგმება ინტერესთა გამოხატვაზე მოწვევის გამოცხადება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ. თბილისში, გლდანისა და ვარკეთილის რაიონებში მდებარე შესაბამის მიწის ნაკვეთებზე (ვარკეთილის მიწა - სავარაუდო ფართობი 360 000 კვ.მ; გლდანის მიწა - სავარაუდო ფართობი 380 000 კვ.მ) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების/ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე, შესაბამისი დანართით განსაზღვრული ინტერესთა გამოხატვის პირობების შესაბამისად.

მარიამმა აღნიშნა, რომ შპს „იდეასითიმ“ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და გამოხატა დაინტერესება ქ. თბილისში, ვარკეთილისა და გლდანის რაიონებში მდებარე მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელი და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების/ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე, იმ პირობით, რომ აღნიშნული უძრავი ქონება დაინტერესებულ კომპანიას საკუთრებაში გადაეცემა სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, სანაცვლოდ კი კომპანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცემს საპროექტო ტერიტორიებზე სავარაუდო (მაქსიმალური) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კა-2) გათვალისწინებული საანგარიშო ფართობის 7%-ს.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა პროექტის მიხედვით ინტერესთა გამოხატვის საგნისა და პირობების შესახებ:

ინტერესთა გამოხატვის საგანია – ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ უძრავ ქონებაზე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება, გამარჯვებული პირისთვის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, საკუთრების უფლებით გადაცემა და გამარჯვებული პირის მიერ საცხოვრებელი და შესაბამისი საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აშენებულ შენობა-ნაგებობებში საცხოვრებელი ფართების ნაწილის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემის პირობით.

ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე სავარაუდო (მაქსიმალური) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კა-2) გათვალისწინებული საანგარიშო ფართობი საპროექტო ტერიტორიებისთვის შეადგენს **ჯამში 1 000 000 (ერთი მილიონი) კვ. მ-ს**, თითოეულ საპროექტო ტერიტორიაზე - 500 000 (ხუთასიათასი) კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიების ფართობი და კონფიგურაცია, ასევე, საპროექტო ტერიტორიებზე სავარაუდო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კა-2) და სამშენებლო ლოტების/ქველოტების ეტაპობრიობა დადგინდება (დაზუსტდება) შესაბამისი განაშენიანების რეგულირების გეგმების საფუძველზე.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირსა და ქალაქ თბილისის მთავრობას შორის იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადების ვადაზე, მხარეთა უფლება-მოვალეობებზე და ხელშეკრულებით გასათვალისწინებელ სხვა შესაბამის პირობებზე, ამასთან ყურადღება გაამახვილა პროექტის განვითარების შემდეგ ძირითად ეტაპებზე:

- წინა სამშენებლო ფაზის ხანგრძლივობა შეადგენს ჯამში 20 (ოცი) თვეს, განსაზღვრული გამარჯვებული პირის მიერ შესასრულებელი კონკრეტული ვალდებულებები, ამასთან, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირის განაცხადის, იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადების, წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებისა და სამშენებლო საბანკო გარანტიის წარდგენის უზრუნველსაყოფად, მთავრობის სასარგებლოდ წარსადგენი უპირობო და გამოუხმობადი წინა სამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობაა 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარი ან მისი ეკვივალენტის ოდენობა ლარში/ევროში.

- სამშენებლო ფაზის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია გამარჯვებული პირის ვალდებულებები, მათ შორის, პროექტის ფარგლებში ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მშენებლობის დასრულება ვადები და სამშენებლო ფაზის ეტაპზე მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემი დასრულებულ შენობა-ნაგებობებში საცხოვრებელი ფართების ოდენობა.

- მშენებლობის ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად მთავრობის სასარგებლოდ წარმოსადგენი უპირობო და გამოუხმობადი სამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს მთავრობის მიერ კომპანიისთვის საკუთრების უფლებით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელი სამშენებლო ლოტის/ქველოტის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართების ჯამური საბაზრო ღირებულების ეკვივალენტ ოდენობას, თუმცა ყველაშ ემთხვევაში არანაკლებ 165 000.00 (ას სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ან მის ეკვივალენტისა ლარში/ევროში.

მომხსენების დასასრულს მარიამმა დასძინა, რომ გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმად დადგენილია ყველაზე დიდი ოდენობით (პროცენტი) შემოთავაზებული მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი ფართი, თუმცა ყველა შემთხვევაში არანაკლებ საპროექტო ტერიტორიებზე სავარაუდო (მაქსიმალური) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კა-2) გათვალისწინებული საანგარიშო ფართობის 7%-ისა. აღნიშნულზე მინიმალური ბიჯი შეადგენს 0,5 %-ს. ინტერესთა გამოხატვის პირობებით, ასევე, დეტალურად არის განსაზღვრული, მოთხოვნები დაინტერესებული პირების მიმართ; ინტერესთა გამოხატვის სქემა და ვადები, ვალდებულებები; პირგასამტეხლო; ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და სხვა.

აზრი გამოთქვას:

ლევან ჟორჯოლიანმა ისაუბრა პროექტის სათაურისა და პირველი მუხლის კორექტირების მიზანშეწონილობაზე, ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა პროექტით წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვის მოწონების საკითხი.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.009.030) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუგუსტისთვის“ (ს/ნ 405334160) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თამარმა აღნიშნა, რომ კომპანია „აუგუსტი“-ს, რომლის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი N16-ში მდებარე უძრავი ქონება 2022 წლის 5 ნოემბრამდე, დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N12-16-ის მიმდებარედ არსებული 1674 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოწყობის მიზნით. მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგი გარემოებებზე:

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარი.
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციით, ღია კაფის მოწყობისას, გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

თამარმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, შპს „აუგუსტისთვის“ გადაცემა- 2 (ორი) წლის ვადით, საიჯარო ქირის საფასურის – 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის სანაცვლოდ და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის ჩამოყალიბება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N62-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: N01.14.11.003.029) 16კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ვინგჰაუსისთვის“ (ს/ნ: 405379754) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შპს „ვინგჰაუსი“-ს, რომელიც იჯარით ფლობს ქ. თბილისში ჭავჭავაძის გამზ. N62-ში არსებულ ფართს, 3 წლის ვადით, წარმომადგენელმა, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. N62-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან 16კვ.მ მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, 10 (ათი) წლის ვადით ღია კაფეს მოწყობის მიზნით. თამარმა ასევე ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ღია კაფეს განთავსება, თუ გათვალისწინებული იქნება ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 35-ე მუხლის მოთხოვნები.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 24 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2304 (ორი ათას სამას ოთხი) ლარით.

თამარმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ვინგჰაუსისთვის“ გადაცემა 2023 წლის 21 თებერვლამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის სანაცვლოდ და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზაშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და პირველ პუნქტში უძრავი ქონების მახასიათებლების მითითება.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.15.04.020.034) შპს „დელისთვის“ (ს/ნ: 400267117) იჯარით გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განცხადებებით მიმართა შპს „დელის“ წარმომადგენელმა და ითხოვა ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2024 წლის 1 სექტემბრამდე ვადით. აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს მიმდებარე შენობის პირველ სართულზე არსებულ ფართებს. თამარმა ასევე აღნიშნა, შემდეგი:

- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფესთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის პირობით;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, მსუბუქი სახის ავეჯით მოწყობის რეკომენდაციით.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 27 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 12 720 (თორმეტი ათას შვიდას ოცი) ლარით.

თამარმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონები სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დელისთვის“ 2024 წლის 1 სექტემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის – 12 800 (თორმეტი ათას ოცასი) ლარის სანაცვლოდ და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონლად მიიჩნია, პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების მახასიათებლები.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

34. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, დგებუადის ქუჩა N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.13.08.001.007.01.550) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო

ფონდი აი ია“-სთვის (ს/ნ: 404494935) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N339 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი განკარგულებებისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - „სმენადარღვეულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ფონდი „აი ია“-ს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა 10 (ათი) წლის ვადით ქალაქ თბილისში, დგებუადის ქუჩა N1-ში, სარდაფის სართულზე არსებული 376 კვ.მ ფართი სარეაბილიტაციო ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.

მარიამმა განაგრძო თხოობა და მიუთითა, რომ ხელშეკრულების თანახმად, უზუფრუქტუარი ვალდებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში პირადად ან სხვა პირთა მეშვეობით განახორციელოს არანაკლებ 235 000 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიცია, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ უძრავ ქონებაზე და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს: სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ტექნიკური აღჭურვა და ცენტრის სპეციალისტების გადამზადება, ხელშეკრულებას უზუფრუქტუარი გაეცნო 2019 წლის 9 იანვარს, ამდენად, ინვესტიციის განხორციელების 2 წლიანი ვადა სრულდება 2021 წლის 9 იანვარს.

მომხსენებელმა დაამატა, რომ უზუფრუქტუარმა განცხადებებით მიმართა სააგენტოს და ტერიტორიის გასუფთავების გამო დახარჯული დიდი დროისა და ახალი კორონავირუსით შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვალდებულებების დროულად განუხორციელებლობის გამო, ითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 (ორი) წლიანი საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გადავადება 5 (ხუთი) თვით, ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულების მიზნით, თუმცა, მოგვიანებით დააზუსტა მოთხოვნა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 (ორი) წლიანი საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის გადავადება 5 (ხუთი) თვის ნაცვლად მოითხოვა 3 (სამი) თვით. მარიამმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია ინვესტიციის განხორციელების ვადად 2021 წლის 9 აპრილის განსაზღვრა და საკითხის საკრებულოსთვის შესათახმებლად წარმოდგენა.

ზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 127² მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლისა და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 სექტემბრის N20.1062.1338 განკარგულების მითითების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

35. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N26-34-ის მიმდებარედ არსებული 2172 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.007.023) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიზნეს თაიმისთვის“ (ს/კ: 405185008) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, შპს „ბიზნეს თაიმსა“, რომლის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი N28-ში მდებარე უძრავი ქონება 2022 წლის 4 იანვრამდე ვადით, გაცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N26-34-ის მიმდებარედ არსებული 2172 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოწყობის მიზნით. თამარმა ასევე ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციით, განსახილველ ტერიტორიაზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ამასთან, საპროექტო ესკიზის მიხედვით წარდგენილი მაგიდა - სკამები და ქოლგის განთავსება არ წარმოადგენს იმ სახის მშენებლობას, რომელზეც კანონმდებლობის შესაბამისად სამსახურის მიერ გაიცემა მშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1 440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარით.

თამარმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ბიზნეს თაიმის“ გადაცემა 2022 წლის 4 იანვრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარის სანაცვლოდ და საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

36. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამარ მელიქიშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.12.013.048) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესტის“ (ს/ნ: 404895716) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული შემდეგი დეტალების შესახებ:

- შპს „ბიემესტა“, რომლის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ში მდებარე უძრავი ქონება, განცხადებებით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N23-ის მიმდებარედ 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილ იქნა გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა დაინტერესებაში არსებული 74 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან დაკავშირებით.
- სსიპ–ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილობითი პოზიციით, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა 1 (სსზ-1), ხოლო, სამსახური არ არის წინააღმდეგი განსახილველ ტერიტორიაზე ღია კაფეს მოწყობასთან დაკავშირებით.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის (ამჟამად სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო) წერილობითი პოზიციით, ქ.თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩა N31-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით სამსახური წინააღმდეგი არ არის.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 74 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 10 656 (ათი ათას ექვსას ორმოცდათექვსმეტი) ლარით.

თამარმა დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიემესტის“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 10

660 (ათი ათას ექვსას სამოცი) ლარის ოდენობით გადაცემა და საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია პროექტის სათაურში მიეთითოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების“ და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

37. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.009) და ქალაქ თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.003) შპს „ჯი ემ ჯისთვის“ (ს/კ 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, შპს „ჯი ემ ჯის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 4 წლის ვადით, ჰიდროელექტროსადგურის „დილომიჰესის“ სამშენებლო ბანაკის, საწყობისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობის მიზნით, გადაეცა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთი და ქ. თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

მარიამმა აგრეთვე მიუთითა, რომ ხელშეკრულების თანახმად, მხარეებს განესაზღვრათ რიგი ვალდებულებები, მათ შორის, მოიჯარემ იკისრა ვალდებულება ყოველწლიურად გადაიხადოს საიჯარო ქირა 116,700 (ას თექვსმეტი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით. აღნიშნული, სარგებლობის საფასური დადგენილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, 2019 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით N01.11.04.011.009 საკადასტრო ერთეულის წლიური საიჯარო ქირის ფასად დადგენილია 114,782 ლარი, ხოლო N01.11.04.011.003 საკადასტრო ერთეულის წლიურ საიჯარო ქირაა 1,895 ლარი.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა შემდეგი საკითხების შესახებ:

- შპს „ჯი ემ ჯის“ და შპს „დილომი ჰესის“ განცხადების საფუძველზე, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა თხოვნა ხელშეკრულების მხარის (მოიჯარის) მეორე პირით

ჩანაცვლების თაობაზე. ხოლო, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ბრძანებით, განხორციელდა მოიჯარის ცვლილება და ხელშეკრულების მხარედ განისაზღვრა შპს „დილომი ჰესი“.

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ წერილობით მიმართა ქალაქ თბილისის მერიას და ითხოვა N01.11.04.044.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების (რომელზეც არ იქნება გავრცელებული იჯარის უფლება) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, წერილებში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მიერ იგეგმება აღნიშნული მიწის ნაკვეთის „დილომი ჰესისთვის“, მხარეთა შორის გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში გადაცემა. თავის მხრივ, შპს „დილომი ჰესმა“ მზადყოფნას გამოთქვა შეიცვალოს საიჯარო საგანი, კერძოდ, ქ. თბილისში, გლდანის რაიონში 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოიჯვანის შედეგად წარმოქმნილ 1346 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაუქმდეს იჯარის ფორმით სარგებლობის უფლება.

- ვინაიდან, მოიჯარის მიერ მოთხოვნილია საიჯარო საგნის შემცირება 1346 კვ.მ-ით, მიწის ნაკვეთის ღირებულების გათვალისწინებით, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საიჯარო ქირა შემცირდება 3566.90 ლარის ოდენობით და ყოველწლიური საიჯარო ქირა განისაზღვრება 113,133.10 ლარით.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, მიზანშეწონილად მიიჩნია, „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ჯი ემ ჯისთვის“ (ს/ნ 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N126 განკარგულებაში ცვლილების პროექტის შესატანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორების, პროექტის პირველი პუნქტის პრეამბულასა და პროექტის მე-2 პუნქტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

38. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა, ქ. თბილისში, შარტავას ქ. N43 (ს/კ N01.10.13.015.069) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ (ს/ნ 205176628) და სს „ნიუ დეველოპმენტის“ (ს/ნ 405375277) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართეს იბა „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ და სს „ნიუ დეველოპმენტმა“ და ითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N43 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, საკითხის კომისიის მიერ სხდომაზე განხილვის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მისამართზე - ქ. თბილისი შარტავას ქ. N43 (ს/კ: N01.10.13.015.069) გაცემულ იქნა შესაბამისი მშენებლობის ნებართვები, სამშენებლო ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი: კ1=0.8; კ2=10.8; კ3=0.1;
- იბა „ოლიმპიურ ვარსკვლავს“ და სს „ნიუ დეველოპმენტს“ არსებული შეთანხმებით, სს „ნიუ დეველოპმენტს“ გადაეცემა სასარგებლო ფართი 54 200 კვ.მ, ხოლო იბა „ოლიმპიურ ვარსკვლავს“ გადაეცემა სასარგებლო ფართი - 50 302 კვ.მ, ამ უკანასკნელის საჯარო რეესტრის ამონაწერში მესაკუთრედ ფიქსირდება 147 ფიზიკური პირი, 5 იურიდიული პირი, მათ შორის სს „საქართველოს ბანკი“ და იბა „ოლიმპიური ვარსკვლავი“. მათ საკუთრებაშია ჯამში: 21710.75 კვ.მ. ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერში მესაკუთრედ ფიქსირდება ზაზა რაზიკაშვილი (იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ თავმჯდომარე), რომლის საკუთრებაშია - 11 474.4 კვ.მ.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 დეკემბრის განაჩენში დაზარალებულად მოხსენიებული პირებისათვის (135 პირი) გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს 10 697 კვ.მ.-ს (აღნიშნული პირები არ ფიქსირდებიან საჯარო რეესტრის ამონაწერში);
- 64 პირზე წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულებები ან/და განშლის ოქმები. მათთვის გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს 5038,11 კვ.მ.-ს;
- 20 პირზე წარმოდგენილია ხელშეკრულებები, რომლებზეც ფიქსირდება მხარეთა ხელმოწერა და ამხანაგობის ბეჭედი, აგრეთვე წარმოდგენილია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის სრულად ან/და ნაწილობრივ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები/საბანკო ამონაწერები. მათთვის გადასაცემი ფართი ჯამურად შეადგენს 1413.5 კვ.მ.-ს (აღნიშნული პირები არ ფიქსირდებიან არც საჯარო რეესტრის ამონაწერში და არც ზ/ა სასამართლო განაჩენში);

ლევანმა დაამატა, რომ კომისიამ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დადასტურებულად ჩათვალა დაზარალებული პირებისათვის გადასაცემი ფართი, რომლის ჯამური ოდენობა შეადგენს 38 859.36 კვ.მ.-ს და „ოლიმპიური ვარსკვლავის“ თავმჯდომარის ზაზა რაზიკაშვილის სახელზე, საჯარო რეესტრში დაფიქსირებული ფართების ჯამური ოდენობა - 11 474.4 კვ.მ. ხოლო, დადასტურებულად არ ჩათვალა შესაბამის პირთა და უძრავი ქონების ნაწილში, ვინაიდან, წარმოდგენილი ხელშეკრულებებით და სხვა დოკუმენტაციით არ ხერხდებოდა ფაქტების დადასტურება.

ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ ი/ზ ამხანაგობა „ოლიმპიურ ვარსკვლავს“ და სს „ნიუ დეველოპმენტს“ შორის გაფორმებული შეთანხმებით, ფართით დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაზარალებული პირების მიერ იბა „ოლიმპიური ვარსკვლავისათვის“

გადასახდელ თანხას ამხანაგობა განათავსებს მხოლოდ ამ დანიშნულებისათვის გახსნილ საბანკო ანგარიშზე. ამავდროულად, იბა „ოლიმპიურ ვარსკვლავს“ უფლება აქვს, რომ ზემოაღნიშნული საბანკო ანგარიშიდან განახორციელოს გადარიცხვები მესამე პირებისათვის მხოლოდ პროექტზე გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯების ასანაზღაურებლად, ხოლო დარჩენილი თანხა დასრულების თარიღიდან პროექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე ყოველ 18 თვეში ერთხელ მაინც გადაურიცხოს კომპანიას - სს „ნიუ დეველოპმენტს“.

მომხსენებლმა მიუთითა, რომ ი/ზ ამხანაგობა „ოლიმპიურ ვარსკვლავსა“ და სს „ნიუ დეველოპმენტს“ შორის ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულია კრედიტორთა სია, რომლებსაც აღნიშნული ხელშეკრულების თარიღისათვის გააჩნიათ მოთხოვნები ამხანაგობის მიმართ და რომელთა ვალდებულებების დაკმაყოფილება ან მათ მიერ შესაბამის მოთხოვნებზე უარის თქმა ამხანაგობის მიმართ, შეადგენს სს „ნიუ დეველოპმენტის“, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ერთ-ერთ ვალდებულებას. ამასთან, იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მიერ წარმოდგენილია ვალდებულებები, რომელთა დაკავშირებითაც, იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები დაკმაყოფილდება იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ თავმჯდომარის, ზაზა რაზიკაშვილის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 11 474.4 კვ.მ.-დან.

ლევანმა დასძინა, რომ კომისიის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაცია, **ხოლო, თბილისის მთავრობამ** მიზანშეწონილად მიიჩნია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ და სს „ნიუ დეველოპმენტის“ მიმართ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა:

- (კ-2) განისაზღვროს 12.4-ით, თუმცა, შენობა-ნაგებობის ყველა ბლოკისთვის საერთო ფართობით არაუმეტეს 142 979 კვადრატული მეტრისა; (კ-1) განისაზღვროს 0.9-ით და (კ-3) განისაზღვროს 0 -ით;
- მიჯნის ზონის/შენობა ნაგებობების განთავსების წესის და მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის წესის გამონაკლისის დადგენა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად;
- დაინტერესებული პირი თავისუფლდება: სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციების მოთხოვნებისაგან, ასევე, ქალაქთმშენებლობითი პირობებით დადგენილი ინსოლაციის მოთხოვნებისაგან;
- ავტოსადგომების რაოდენობის ცვლილება წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად (280 ავტოსადგომი; ავტოსადგომზე მოსახვედრი და მოძრაობის სქემის წარმოდგენილი სახით შეთანხმება;
- ფასადის მოსაპირკეთებელი მასალების ცვლილება, ლესვა-ღებვის პროცენტულობის გაზრდილი მაჩვენებლის დაშვება; „ა“ ბლოკის „ა“ კორპუსის მშენებლობაზე გავრცელდეს ამ ოქმით გათვალისწინებული ყველა ხელშემწყობი ღონისძიება;
- ი/ზ ამხანაგობა „ოლიმპიურ ვარსკვლავსა“ და სს „ნიუ დეველოპმენტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ამ ოქმში კომისიის მიერ დადასტურებული ვალდებულებების გარდა, იბა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ ყველა სხვა ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს იბა

„ოლიმპიური ვარსკვლავის“ თავმჯდომარის, ზაზა რაზიკაშვილის, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართიდან - 11 474.4 კვ.მ.-დან.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, პროექტის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი განისაზღვროს მე-2 პუნქტად და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით, ასევე შეიცვალოს განკარგულების პროექტის პუნქტების ნუმერაცია.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

39. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი შარტავას ქ. N3 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა:

- ქ. თბილისი შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, სადაც, კ1=0,47; კ2=5,0; კ3=0,1;
- იბა „თაბუკაშვილი 88“-სა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ უნდა განეხორციელებინა საშუაშაგლო მომსახურება, საპროექტო სამუშაოების დასრულება, საცხოვრებელი კორპუსების აშენება (ჯამურად - 7250 კვ.მ. სასარგებლო ფართი და 100 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი) და ექსპლუატაციაში მიღება. შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, იბა „თაბუკაშვილი 88“-ს გადაეცა 7582.15 კვ.მ. სასარგებლო ფართი და 100 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი;
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობა შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“-სა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“,

იბა ამხანაგობა „ახალი დილომი“ შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება;

- შპს „სიემსის“ მიერ შედგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, განისაზღვრა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭიროა შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები და პროექტის ხარჯთაღიძვრა.

ლევანმა აღნიშნა, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ ითხოვს დაუმთავრებელი მშენებლობისათვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით კორექტირებული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.
- საკადასტრო საზღვრების კორექტირებას არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- პროექტის შესაბამისად, არქიტექტურული ვიზუალის, ფასადების და სართულის გეგმარების შეთანხმებას, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ზემოთაღნიშნული, კ-2 კოეფიციენტის გადამეტებას/დათვლას, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის განსაზღვრას პირველად დამტკიცებული პროექტის ფარგლებში არსებული რეგულაციის შესაბამისად;
- სამშენებლო სანებართვო მოსაკრებლისგან განთავისუფლება/განწილვადებას.
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებას.

ლევანმა დასძინა, რომ კომისიის მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, რის გათვალისწინებით, თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიმართ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა:

ა) (კ-2) განისაზღვროს 5.4-ით;

ბ) მოხდეს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით იმ პირობით, რომ განხორციელდეს საკადასტრო საზღვრების კორექტირება არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სამშენებლო ნებართვის მიღებამდე;

გ) არქიტექტურული ვიზუალის, ფასადების და სართულის გეგმარების შეთანხმება მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს არსებული რეგულაციების შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

40. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯიანიმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 (ს/კ N01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და შპს „გეითვეი ჰოლდინგმა“ და ითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება, კომისიის მიერ საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 (ს/კ: N01.10.06.001.115) გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, სადაც კ1=0.3; კ2=2.4; კ3=0.1;
- სამშენებლო კომპლექსი მოიცავს აღნიშნულ მისამართზე და მის მიმდებარედ - მიწის ნაკვეთებზე ასაშენებელ რამდენიმე ბლოკს/კორპუსს. მიწის ნაკვეთებზე დამუშავებულია ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმა 2005 წელს, რაც მოიცავს, მოიცავს დასასრულებელ სამშენებლო ობიექტის მე-14 კორპუსს. კორპუსი 14 (1-2-3-4-5 სადარბაზო) სრულად არის აშენებული შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად - 9 სართული;
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო -სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობა შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“-სა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბალები“, შპს „დილომი დისტორიქთ აფართმენტს“, იბა ამხანაგობა „ახალი დილომი“ შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება;
- შპს „სიემსი“ მოამზადა მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;
- ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების დასკვნით, ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 - არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება;

ლევანმა გააგრძო თხოვნა და აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირები, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ და შპს „გეითევი ჰოლდინგი“ ითხოვენ დაუმთავრებელი მშენებლობისათვის შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებას:

- კორექტირებული პროექტის შეთანხმებას და პირობადადებული მშენებლობის ნებართვის გაცემას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით.
- სამშენებლო ნებართვის მოსაკრებლისგან გათავისუფლება/განწილვადებას. არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმებას წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ზემოაღნიშნული კ2-ის გადამეტებას/კოეფიციენტის დათვლას, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის განსაზღვრას პირველად დამტკიცებული პროექტის ფარგლებში არსებული რეგულაციის შესაბამისად.
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებისა და საგანგებო სიტუაციის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებისგან ნაწილობრივ გათავისუფლებას.

ლევანმა მოხსენების დასასრულს მიუთითა, რომ კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია საკითხს, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და შპს „გეითევი ჰოლდინგის“ მიმართ შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა:

- (კ-2) განისაზღვროს - 2.6-ით;
- შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, შემდეგი პირობით:
- ა) მშენებლობის ნებართვის გაცემამდე განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება,
- ბ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- გ) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს არსებული რეგულაციების შესაბამისად.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

41. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე სხდომაზე დამსწრე წევრებს

გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) დაშპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და შპს „გეითვეი ჰოლდინგმა“ და მოითხოვეს მისამართზე - ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა:

- ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N 2 (ს/კ N01.14.03.039.007) გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, სადაც, $კ1=0.7; კ2=5.7; კ3=0.1$;
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობა შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“-სა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს (შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დილომიდისთრით აფართმენტს“ იზა ამხანაგობა „ახალი დილომი“ შორის 2020 წლის 29 იანვარს გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობისუქმედველობის შესახებ ხელშეკრულება;
- შპს „სიემსი“ მოამზადა მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2-ში არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;
- ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების დასკვნით მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2, არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება ხოლო მთლიანობაში შენობის ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების 1 ხარისხს;

ლევანმა დაამატა, რომ კომისიის მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფისთვის“ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა:

ა) მოხდეს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მშენებლობის ნებართვისაღების ეტაპზე წარმოდგენილ იქნას შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციის მდგრადობისდამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა;

ბ) არქიტექტურული ვიზუალის (ფასადების) შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

42. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა სხდომაზე სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და შპს „გეითვეი ჰოლდინგმა“ და მოითხოვეს - ქ. თბილისში, კოსმონავტების ქ N 45-47-49-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142) გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, სადაც, კ1=0.7; -კ2=2.0; კ3=0.1;
- აღნიშნულ მისამართზე არსებული მთლიანი სამშენებლო კომპლექსი მოიცავს შემდეგ ბლოკებს: „ნალი 1“, „ნალი 2“ - და „ხერხი“, სასტუმრო „აფხაზეთი“. „ნალი 2“ და „ხერხის“ ნაწილი მოაზრებულია ასაშენებელ-საინვესტიციო პროექტად; დასასრულებელი სარემონტო ნაწილი მოიცავს „ნალი 1“-ის ნაწილს, რომელიც შედგება: 5ა, 5ბ და 5გ ბლოკისგან;
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობა შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“-სა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს (შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტს“, იბა ამხანაგობა „ახალი დილომი“ შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება;
- შპს „სიემსიმ“ მოამზადა მისამართზე - ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 - არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;
- ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების დასკვნით, მისამართზე ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142) არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება

ლევანმა დასძინა, რომ კომისიის მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და შპს „გეითვეი ჰოლდინგისთვის“ წარდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართზე - ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N 45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაზღვრის საკითხი საკრებულოსთან შეთანხმება:

ა) 5ა, 5ბ, 5გ ბლოკებთან მიმართებაში - ჯამურად მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს - 2.0 -ით;

ბ) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, შემდეგი პირობით:

ბ.ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება განხორციელდეს სამშენებლო ნებართვის მიღებამდე;

ბ.ბ) განხორციელდეს საკადასტრო კოდზე N01.13.05.004.173 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირება საკადასტრო კოდთან N01.13.05.004.142 მიმართებაში - ფართის უცვლელად (რაც აისახება კორექტირებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში);

ბ.გ) განხორციელდეს საკადასტრო კოდზე N01.13.05.004.059 არსებული სამშენებლო ობიექტის საკადასტრო საზღვრების კორექტირება საკადასტრო კოდებთან: N01.13.05.004.142 და N01.13.05.004.173 მიმართებაში ფართის უცვლელად (რაც აისახება კორექტირებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში);

გ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

43. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჯოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „დილომი

დისტორიქთ აფართმენტის“ (ს/ნ 204514926) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას (შემდგომში - კომისია) 2020 წლის 20 იანვარს განცხადებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ (ს/ნ 204460957) და შპს „დილომი დისტორიქთ აფართმენტის“-მა (ს/ნ 204514926) და მოითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენება. კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა:

- მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, სადაც, - კ1=0.3; -კ2=4.0; კ3=0.3;
- სამშენებლო კომპლექსი მოიცავს რამდენიმე ბლოკს, საიდანაც „ა“ და „დ“ (1-2-3-4 სადარბაზო) ბლოკები სრულად არის აშენებული შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად (11-12 სართული).
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო -სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობა შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“-სა (ს/ნ 205292486) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ (ს/ნ 204460957), შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს (შპს „მარიჯანი (ს/ნ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/ნ 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/ნ 212272869), შპს „დილომი დისტორიქთ აფართმენტის“ (ს/ნ 204514926), იბა ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/ნ 202389156)) შორის 2020 წლის 29 იანვარს გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება;
- შპს „სიემსი“-მ მოამზადა მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 მდებარეობის სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;
- ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების დასკვნით, მისამართზე ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006) არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არ შეინიშნება;

ლევანმა დაამატა, რომ კომისიის მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფისა“ და შპს „დილომი დისტორიქთ აფართმენტის“-ის არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის საკითხის საკრებულოსთვის შესატანხმებლად წარმოდგენა:

ა) მოხდეს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;

ბ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

გავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

44. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და იბა „ახალი დილომის“ (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებით მიმართა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და იბა „ახალმა დილომმა“ და მოითხოვეს მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება. ხოლო, კომისიის მიერ, საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 (ს/კ N01.10.10.025.029) გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა, სადაც, კ1=0.3; კ2=4.1; კ3=0.14;
- სამშენებლო ობიექტი აშენებულია სრულად შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად;
- იმისათვის, რომ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ დაასრულოს დარჩენილი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და შენობა-ნაგებობა შევიდეს ექსპლუატაციაში, შპს „სიემსი“-სა და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს შორის 2020 წლის 29 იანვარს გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ხელშეკრულება;
- შპს „სიემსი“ მოამზადა მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა;
- ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის“ ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევის განყოფილების დასკვნის მიხედვით, მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 - არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებში დაზიანებები არშეინიშნება;

ლევანმა დაამატა, რომ კომისიის მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ და იბა „ახალ დილომს“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. N16 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 4.3-ით;
- ბ) მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით;
- გ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი

თავმჯდომარე

თამთა კაკოიშვილი